

შპს „ჯორჯიან ფეიფერი“-ის

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შ ი ნ ა ა რ ს ი

1) ზოგადი ინფორმაცია

2) განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ფეიფერ ფროდაქშენი“ (ს/კ 206331432) რეგისტრირებულია ქ.თბილისის, საგადასახდო ინსპექციის რეგიონალური ცენტრში 30.05.2008წ რეგისტრაციის მოწმობა სერია თბს #13976. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მეველეს ჩიხი 2, კომპანიის ფაქტიური მისამართი ქ.თბილისი, იუმაშევის ქ.17. კომპანიას ამჟამად მართავს დირექტორი საქართველოს მოქალაქე ქალ-ნი ნანა ცერაძე. კომპანიას გაცხადებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი 31.12.2023 წლის მდგომარეობით არის 378700 ლარი. საზოგადოებას ჰყავს 4 პარტნიორი, - ფიზიკური პირები ალექსანდრე კეჟერაშვილი(50%), ნანა ცერაძე (16%) და ლია ლონდარიძე (25%) და ანდრია ლონდარიძე (9%).

კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №206331432. საზოგადოებას აღებული აქვს დღგ-ს გადამხდელის სერთიფიკატი № 090974

2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :

კომპანიის ძირითად საქმიანობას დღიდან დაარსებისა წარმოადგენს ჰიგიენური პროდუქციის წარმოებას, კერძოდ 100% მაკულატურისგან ერთფენიანი ტუალეტის ქაღალდის გამოშვებას. ამ მიმართულებით ჯორჯიან ფეიფერ პროდაქშენი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მწარმოებელს საქართველოში.

ჯორჯიან ფეიფერ ფროდაქშენი დაარსდა 2008 წელს და უკვე 2009 წლიდან წარადგინა თავისი პროდუქცია ქართულ ბაზარზე. ქარხანა შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებით. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომელიც იმპორტირებულია სხვადასხვა ქვეყნიდან.

კომპანიას პორტფელში გააჩნია რამდენიმე ტუალეტის ქაღალდის ბრენდი, უმეტესობა მათგანი დაპატენტებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში -

„საქპატენტში“.

კომპანიის პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით საშუალო, მსხვილ და ქსელური ობიექტებსა და ასევე, უბნის მაღაზიებსა და საბითუმო ქსელის მეშვეობით. კომპანიას ჰყავს ექსკლუზიური დისტრიბუტორი მთელი საქართველოს მასშტაბით(გარდა აჭარისა), თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე გაყიდვების სტიმულირებისთვის თავის სტრატეგიულ პარტნიორთან შეთანხმებით დამატებით ახორციელებს დისტრიბუციის სხვადასხვა არხის გამოყენებას. აქ იგულისხმება გარკვეულ რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეების გამოყენება პროდუქციის მაქსიმალურად გასაშლელად, იქ სადაც ორგანიზებული დისტრიბუციის არსებობა შეუძლებელი იქნება არაბარჯთეფექტური.

აღსანიშნავია, რომ კომპანიისთვის მთავარი ნედლეული არის მაკულატურა და მისი შეგროვება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. ამის ძალიან ბევრი განმაპირობებელი ფაქტორი არსებობს, მოსახლეობასა და ორგანიზაციებში მაკულატურის შეგროვების დაბალი კულტურა და ასევე საქართველოდან ამ რესურსის ექსპორტი ძალიან მარტივია სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით. ასევე ძირითადი რისკები და გაურკვევლობები კომპანიისთვის არის დენისა და გაზის ტარიფის ზრდის საფრთხე. პროდუქციის თვითღირებულებაში აღნიშნული კომპონენტები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა/დახვეწა, თანამშრომელთა შრომის და სოციალური დაცვის გაუმჯობესება და შრომის ეფექტურობის ზრდა. კომპანიის თანამშრომელი უზრუნველყოფილია სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევით.

გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კომპანიის საქმიანობას, ძირითადად შეეხება:

მყარი ნარჩენების მართვა - 2017 წელს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანიამ შეიმუშავა მყარი ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს კომპანიის საქმიანობის უახლოეს სამწლიან პერიოდს და ადგენს საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, განთავსების, გაუვნებლობისა და ხელახალი გამოყენების წესებს, გარემოსდაცვითი წესების მოთხოვნების დაცვით.

ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კონტროლი - 2017 წელს კომპანიის მიერ ასევე შემუშავებულ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საწარმოს მიერ ემისიის პროცესში მავნე ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები.

წყლის რესურსებით სარგებლობა - საწარმოო პროცესისთვის აუცილებელია წყლის გამოყენება, რომელსაც მოიპოვებს ჭაბურღილებიდან, სახელმწიფოს მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე. აღნიშნული ლიცენზიების პირობების და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვებული წყლის რაოდენობის შესახებ კომპანია კვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

2023 წელში კომპანიის შემოსავლებმა 2023 წლის პერიოდთან შედარებით იკლო, ასევე შემცირდა საწარმოში დასაქმებული პირების ოდენობა.

2024 წელს კომპანიაში საშუალოდ 35-36 თანამშრომელი იყო დასაქმებული.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

4.1. მომზადების საფუძველი.

კომპანია თავისი ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების მიხედვით მომზადების დასრულების პროცესშია. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით სრული შესაბამისობა მსს ფასს-ებთან მიღწეულია 2020 წლის 31 დეკემბრისათვის. სწორედ ამ მიზნით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, ეწარმოებინა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგება: 2024 წლის 1 იანვრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო უწყისისაგან, 2024 წლის სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან, საკუთარ კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია მსს ფასს-ები. ამ მიზნით საწყისი ბალანსი 2017 წლის 1 იანვრისათვის (მსს ფასსებზე გადასვლის თარიღი) წარმოდგენილი ბალანსი მომზადებულია ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ შესაბამისად. ეს სტანდარტი მოითხოვს რომ სტანდარტის დანერგვის თარიღის ბალანსი შესაბამისობაში იყოს სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არსებულ ფასს-ებთან, რომელიც მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ების ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია ან გამოშვებულია და წინასწარ დანერგილია ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის.

4.4. წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ოპერაციები კომპანიას არ გააჩნია

4.5. ძირითადი საშუალებები

2025 წლის 1 იანვრისათვის წარდგენილი ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით ან “ჩათვლილი ღირებულებით“ ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი გამოყენება შესაბამისად. ამ თარიღის შემდეგ შეძენილი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელზეც დაკლებულია დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური

სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგებაზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა ნაგებობები	30-40.
მანქანა-დანადგარები	3-10.
საოფისე აღჭურვილობა	2-9.
სატრანსპორტო საშუალებები	7-10

კომპანიის ბალანსზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი მოდის საკუთარ მიწის ნაკვეთზე, შენობა-ნაგებობებზე, მანქანა-დანადგარებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე ოფისის აღჭურვილობაზე და ავეჯზე.

4.6. არამატერიალური აქტივები კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ნარჩენ ღირებულებაზე 15%-იანი ამორტიზაციის ნორმის გამოყენებით. არამატერიალურ აქტივში რიცხული თანხის უმეტესი ნაწილი მოდის საოფისე და საბუღალტრო პროგრამებში გადახდილ თანხაზე.

4.7. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომელის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა

გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი, ხოლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, აღარ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში შეტანას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა აღარ სწარმოებს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან/და ვალდებულება ნულია, ვინაიდან აღარ არსებობს ის ფაქტორები, რომელიც გადავადებულ გადასახადს წარმოშობს.

4.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენს 768430 ლარს.

4.9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნომინალური ღირებულებით.

4.10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან

ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

4.10.1. ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხებიდან, ამასთან სალაროს ნაშთი წლის ბოლოს მხოლოდ 88 ლარს შეადგენს, ხოლო დანარჩენი თანხა სრულად მოდის საბანკო ანგარიშებზე რიცხულ სალარე და სავალუტო თანხებზე.

4.10.2 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ №7-ის შესაბამისად, არაპირდაპირი მეთოდით. აღნიშნული ანგარიშგების მიზანია ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ცვლილებების ანალიზი.

4.11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4.12. უცხოური ვალუტის გადაანგარიშება უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ოპერაციები 2024 წელს კომპანიას არ განუხორციელებია

4.13. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

4.14. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხორციელდება მომსახურების გაწევისა და საქონლის გადატვირთვისთანავე, როდესაც მისაღები თანხის განსაზღვრა შეიძლება საიმედოდ.

4.15. ინფლაციის გაგლენა

ბასს 29 ითხოვს, რომ ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები იქნას ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ ზომის ერთეულებში. ბასს 29-ის მიხედვით კომპანიის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებული იქნება ადგილობრივი ვალუტით ყოველგვარი შესწორებების გარეშე, არ იქნება სასარგებლო. ფული მსყიდველობითუნარიანობას კარგავს იმ დონეზე, რომ ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი სხვადასხვა ოპერაციებისა თუ მოვლენების ამსახველი თანხების შედარება, შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს. ბასს 29 ჰიპერინფლაციის დაწყების მაჩვენებლად საზღვრავს რამდენიმე კრიტერიუმს, მათ შორის ინფლაციის საერთო დონე სამი წლის განმავლობაში

აღწევს ან აჭარბებს 100%-ს. ზემოს აღნიშნული ინფლაციის დონე, რომელიც ეფუძნება საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსს, 2024 წლის პერიოდში შეადგინა – 23,2 %.

4.16. საექვო მოთხოვნების რეზერვი

კომპანია ახდენს თავისი დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის ანალიზს საექვო მოთხოვნების რეზერვის დადგენის მიზნით. ამ მუხლში გადატანილი 2008-2014 წლებში წარმოშობილი უიმედო ვალების თანხები კომპანიას უკვე ჩამოწერილი აქვს 2015-2016 წლის მოგება-ზარალის ანგარიშზე.

4.17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

დებიტორული დავალიანება	-	0	- გადახდილი ხელფასები	-	83610	0
------------------------	---	---	-----------------------	---	-------	---

მიღებული სესხები - - 776 905

გადახდილი პროცენტები - 43380

გადასახდელი პროცენტები - 11784

განაწილებული დივიდენდები 0

- -

4.18. წმინდა მოგების განაწილება

2024 წლის განმავლობაში პარტნიორის გადაწყვეტილებით დივიდენდები არ განაწილებულა.

4.19 საგადასახადო რისკი

საზოგადოების მიერ განხორციელებული გამჭირვალე საქმიანობის სპეციფიკიდან და სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე საგადასახადო რისკი ამ ეტაპზე არაა რეალური.

შპს „ჯორჯიან ფეიფერ ფროდაქშენ“-ის დირექტორი

ნ. ცერაძე

საქართველო, ქ. თბილისი, 2025 წლის 10 სექტემბერი

2024 წლის განმავლობაში პარტნიორის გადაწყვეტილებით დივიდენდები არ განაწილებულა.

4.19 საგადასახადო რისკი

საზოგადოების მიერ განხორციელებული გამჭვირვალე საქმიანობის სპეციფიკიდან და სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე საგადასახადო რისკი ამ ეტაპზე არაარსებითია.

შპს „ჯორჯიან ფეიფერ ფროდაქშენ“-ის დირექტორი

ნ. ცერაძე

ნ. ცერაძე

საქართველო, ქ. თბილისი, 2025 წლის 10 სექტემბერი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10250	291	1959
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	228547	15919	16652
მარაგები	768430	590852	747409
მზა პროდუქცია	278004	0	0
სხვა	490426	590852	747409
სხვა არამატერიალური აქტივები	1043	1227	1444
ძირითადი საშუალებები	482976	513373	537220
სულ აქტივები	1491246	1121662	1304684
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	100316	152336	114101
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	27984	0
საგადასახადო ვალდებულებები	3903	4024	24440
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	61602	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	776905	0	0
სხვა ვალდებულებები	11784	0	0
სულ ვალდებულებები	892908	245946	138668
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის ზ	378700	378700	378700
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	219638	497016	787316
სულ საკუთარი კაპიტალი	598338	875716	1166016
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1491246	1121662	1304684
სულ მოკლევადიანი აქტივები	1007227	607062	766020
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	116003	245946	138668

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1361464	2005161
საქონლის გაყიდვიდან	1361464	2005161
გაყიდვების თვითღირებულება	-765286	-1447095
საერთო მოგება	596178	558066
დასაქმებულთა ანაზღაურება	-692602	-660001
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-29560	-38176
საპროცენტო ხარჯი	-55144	0
იჯარის ხარჯი	-647	-31752
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-95603	-118437
სულ საოპერაციო ხარჯები	-873556	-848366
საოპერაციო მოგება	-277378	-290300
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებზე	-277378	-290300
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-277378	-290300
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-277378	-290300
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	875716	1166016
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	598338	875716

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გა	-725790	9769
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაი	-533	-11437
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამი	736282	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	9959	-1668
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დ	291	1959
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბი	10250	291